რეგიონების მდგრადი განვითარების კონცეპტუალური ასპექტები

ნაირა გალახვარიძე –
სტუ-ს ასოც. პროფესორი
ქეთევან მუმლაძე –
სტუ-ს დოქტორანტი

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური სისტემის წონასწორობის კანონების რეალიზება უნდა მოხდეს რეგიონების მდგრადი განვითარების კონცეფციაში. რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე პირობებში.

საქართველოს ხელისუფლების პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით დამტკიცებული საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტი „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგია", რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისა და მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებისა და პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული სტრატეგია წარმოადგენს საქართველოში მოქმედ პირველ ოფიციალურ დოკუმენტს, სადაც მოხდა „რეგიონის" ცნების განმარტება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით „რეგიონი-ქვეყნის მდგრადი რეგიონალური განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას განიმარტება, როგორც ფუნქციურ-დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონად აგრეთვე განიხილება ქ. თბილისი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები."

ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით კატეგორია რეგიონების მდგრადი განვითარება ახასიათებს, ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა, რეგიონებში ეკოლოგიურ-ეკონომიკური ურთიერთობის ევოლუციის თვისობრივად ახალ ეტაპს, რომელიც ვლინდება ეკონომიკური განვითარების და გარემომცველი ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ურთიერთქმედების ახალ კანონზომიერებებში ეკონომიკური და ეკოლოგიური კრიზისის პირობებში.

რეგიონების მდგრადი განვითარების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ რეგიონებში ბუნებრივი გარემოს და სოციალური მდგომარეობის მიზანმიმართული ანტროპოგენური ცვლილება, რომელიც უნდა დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას გადალახოს მისი არსებობის ბიოსფერული პირობების შეზღუდულობა.

საინტერესო და კანონზომიერია, ჩვენი შეხედულებით არაერთი მეცნიერის პოზიცია ქვეყნის რესურსულ პოლიტიკაზე: მიწა და ბუნებრივი რესურსები არ შეიძლება იმყოფებოდეს კერძო საკუთრებაში, რამდენადაც ეკუთვნის არა მხოლოდ ახლანდელ, არამედ მომავალ თაობებსაც. ბუნებრივი რესურსები უნდა იმყოფებოდეს საზოგადოებრივ საკუთრებაში, ხოლო მართვა განხორციელდეს სახელმწიფო სუბიექტების მიერ. მუნიციპალიტეტების ყველა მცხოვრები უნდა ფლობდეს ერთნაირ ხელმისაწვდომობას ბუნებრივი რესურსებისადმი. რესურსების მენეჯმენტი უნდა განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე. მოწონებას იმსახურებს ჩვენი აზრით, მათი შემდეგი გადამჭრელი დებულება: ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებელია ისეთნაირად აიგოს, რომ შეიქმნას მომგებიანი მათვის, ვინც იცავს ბუნებრივ გარემოს, საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და გაითვალისწინოს რესურსებიდან თითოეულის არსებული მარაგები, ასევე მხედველობაში მიიღოს ბიოსფეროს სამეურნეო ტევადობა და მისი შესაძლებლობა მოახდინოს დაბინძურების ასიმილაცია, მოცემული რესურსების წიაღიდან ამოღებისას.

აუცილებელია უფრო მკვეთრად დამუშავდეს მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციის პრაქტიკული ღონისძიებები რეგიონის დონეზე.

რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს რეგიონების შრომითი და ბუნებრივი რესურსები, მათი გავლენა ეკონომიკასა და გარემოზე.

ადამიანის მოღვაწეობის სამეცნიერო, ტექნიკური, ტექნოლოგიური მიმართულებები ავტომატურად უზრუნველყოფენ მდგრად განვითარებას და მომავალი თაობა იცხოვრებს უკეთესად იმ შემთხვევაში, თუ მათ წინამორბედი თაობები დაუტოვებენ მოწინავე ტექნიკურ პოტენციალს. გარემოს მდგომარეობისათვის ასეთ ასპექტში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ნეგატიური შედეგები არ გაითვალისწინება. აქედან გამომდინარე, რეგიონის მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სულ უფრო

მნიშვნელოვანი ხდება ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკის შემუშავება.

ამასთან, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებს შორის ტერმინი "რეგიონის მდგრადი განვითარება" გამოყენებისას ზოგჯერ ვეჯახებით რეგიონის ეკონომიკაზე ეკოლოგიური ფაქტორის გავლენის გაუთვალისწინებლობას. მდგრადობა ამ დროს განისაზღვრება როგორც სტაბილურობა, როგორც რეგიონის მდგრადი ფუნქციონირება პირობების ცვლისას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბუნებრივი რესურსების ჩართვა საზოგადოებრივი წარმოების ფაქტორების სისტემაში მოხდა შედარებით ახლახან, რამდენადაც ყოველთვის ითვლებოდა, რომ ბუნებრივი სიმდიდრე გამოულეველია და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობაზე მათი გავლენა უმნიშვნელოა. რეგიონების ეკოლოგიური სისტემა წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, რესურსულ ბაზას ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ბუნებათსარგებლობის მფლანგველი ხასიათი იწვევს რეგიონებში ბუნებრივი სიმდიდრის გამოლევას. სახელდობრ, ბუნებრივი რესურსები შეადგენენ იმ კაპიტალს, რომელზედაც შენდება ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემა.

ბუნებრივი რესურსები, რომელსაც ფლობს რეგიონი წარმოადგენს ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკის საფუძველს, ასევე ესთეტიკური შთაგონების და სულიერი ამაღლების წყაროს ბევრი მოქალაქისთვის. ქვეყანას უნდა შესწევდეს უნარი შეინარჩუნოს ბუნებრივი მემკვიდრეობა და ისწავლოს მათით ისე სარგებლობა, რომ არ შემცირდეს.

ტურიზმი ერთ-ერთი აქტივობაა იმ აქტივობებს შორის, რომელსაც მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეუძლია ბუნებრივი რესურსებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ორიენტირებულია სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბესთან ბრძოლაზე, დღეისათვის საქართველოს რეგიონული განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორს ტურიზმის განვითარება წარმოადგენს. შეიმჩნევა ზრდის ტენდენცია და სავარაუდოდ, საქართველოს მდიდარი და უნიკალური ბიომრავალფეროვნების გამო მოთხოვნა ეკოტურიზმზე მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზრდება.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად გაიზრდება მოთხოვნა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოზე. რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მდგრადი ტურიზმის განვითარება. მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს ტურიზმის დადებითი გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე, ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობასა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. ტურიზმა შესაძლებელია მოახდინოს როგორც უარყოფითი გავლენა მდგრადობაზე, ასევე დადებითი წვლილი შეიტანოს მდგრად განვითარებაში. უარყოფით გავლენას შორის აღსანიშნავია ეკოსისტემების დეგრადაცია, ბუნებრივი რესურსების გამოლევა, ლანდშაფტების დეგრადაცია, ეკონომიკური "გაუონვა" და სოციალური თავისებურებების დეგრადაცია. ხოლო რაც შეეხება ტურიზმის დადებით გავლენას მდგრად განვითარებაზე, ეს არის ტურიზმის პოტენციური შესაძლებლობა განვითარების სტუმილირება და სამუშაო ადგილების შექმნა რეგიონში, შემოსავლების გენერირება, ბუნების კონსერვაციისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა.

რეგიონისთვის მნიშვნელოვანია ეკონომი-

ნახ. 1 სტატისტიკური მონაცემები საქართველოს დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა შესახებ[1]



[1] წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

კურად ეფექტური ტურიზმის განვითარება გარემოს დაცვისა და სოციალური პროგრესის ხელშეწყობის გათვალისწინებით. ამიტომ უნდა მოხდეს მდგრადობის ინტეგრაციის ხელშეწყობა ტურიზმის განვითარებაში.

მდგრადი რეგიონული განვითარების კონცეფციის მნიშვნელოვან პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. ისტორიულად საქართველო აგრარული ქვეყანაა და დღეისათვის, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში დასაქმებულთა 53% სოფლის მეურნეობის დარგშია დაკავებული. საქართველოში რეგიონების უმეტესობას აქვს პოტენციალი აწარმოოს მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია როგორც საკვების უსაფრთხოების, ასევე რეგიონის ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის კუთხითაც. შესაბამისად, ნათელია მიწის რესურსების ეფექტიანი მართვის მნიშვნელობა რეგიონისთვის არა მარტო გარემოსდაცვითი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ეჭვგარეშეა ბუნებისდაცვითი საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებული აქტუალობა, რომელიც მდგომარეობს საერთო მიზნების, ღირებულებების და ინტერესების განსაზღვრაში ღია საჯარო განხილვის საშუალებით კანონდებლობის ჩარჩოებში. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ინტერესების შეთანხმება, უშუალო ამოცანების განხილვა ხანგრძლივი მოთხოვნების შუქზე, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მოსაზრებების გაერთიანება, გადაწყვეტის ნოვატორული გზების ძიება. რეგიონული მდგრადი განვითარების კონცეფცია უნდა მოიცავდეს ბუნებითსარგებლობის სხვადასხვა ასპექტს სოფლის მეურნეობის, თევზის და სატყეო მეურნეობის მდგრადობის უზრუნველყოფის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების და ზოგიერთი სხვას ჩათვლით.

რეგიონის სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის მიზანი უნდა გახდეს რეგიონის ეკონომიკის სტაბილური, წონასწორული განვითარების უზრუნველყოფა ეკოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების ბალანსის მიღწევის გზით. ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებით, ეკონომიკური პრობლემების გამოკვლევისადმი, მდგრადი განვითარების კონცეფციაში ეკონომიკური ზრდის ამოცანები დასმული უნდა იყოს გარემომცველი ბუნებრივი გარემოს მდგომარეობისაგან დამოკიდებულებით. ამისთვის აუცილებელია განხორციელდეს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების ცვლა; ადამიანის ყველა სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის ცენტრში უნდა მოექცეს არა მარტო მისი კეთილდღეობის რაოდენობრივი კრიტერიუმები, არამედ ცხოვრების დონის ხარისხობრივი პარამეტრები, სიცოცხლის ხანგრძლივობა და უპირველეს ყოვლისა, ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ეკოლოგიური ფაქტორების უარყოფითი გავლენის შესახებ გაფრთხილება.

რეგიონული მდგრადი განვითარების კონცეფციის ფარგლებში მდგრადობის პოტენციალად უნდა გავიგოთ რეგიონის სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც უფრო აქტიურ გავლენას ახდენს რეგიონის სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი, დინამიკური წონასწორობის უზრუნველყოფაზე. ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ რეგიონის მთელი ეკონომიკური პოტენციალი შეიძლება დაიყოს შემადგენლებად: ფინანსური, წარმოებითი (მატერიალურ-ნივთობრივი, სახელდობრ შენობა-ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები), შრომითი და ბუნებრივი.

მდგრადი განვითარების პოტენციალი, რა თქმა უნდა, გულისხმობს ყველა ზემოჩამოთვლილი შემადგენლების ეფექტურ ფუნქციონირებას კომპლექსში. მაგრამ რეგიონული მდგრადი განვითარების პოტენციალის მეტად მნიშვნელოვან, ბაზურ კომპონენტს წარმოადგენს ადამიანური და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, რომელთა ეკონომიკური დასაბუთება და შეფასება თანამედროვე პირობებში საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

რეგიონის სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის პოტენციალის ამ შემადგენლების პირველხარისხოვანი როლი განისაზღვრება ერთი იმით, რომ ზუსტად შრომითი რესურსების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური დაბალანსების ხარისხი, რამდენადაც ეს ფაქტორები ობიექტურად წარმოადგენენ უფრო განსაზღვრულს და მეტ-ნაკლებად მობილურს. თავისთავად ბუნებრივი რესურსების არსებობა, განსაკურებით აღუდგენელის, შეზღუდულია განსაკუთრებით ობიექტური მიზეზების გამო. აუცილებელი რაოდენობით კვალიფიციური მომუშავეების არსებობაც ხომ თავის პირველსაწყისში შემოიფარგლება რეგიონში შობადობის პრობლემით, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური კრიზისის პირობებში რთულდება და მწვავდება.

მეორეც, სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების თვალსაზრისით

ზუსტად ადამიანი და ბუნებრივი გარემო ხდება საწარმოო-სამეურნეო მოღვაწეობის შედეგების ნეგატიური გავლენის ობიექტები, და ამასთან დაკავშირებით ამ გავლენის დონის მეცნიერული დასაბუთება, ეკონომიკური დანახარჯების გათვლებით, რაც აუცილებელია სამუშაო ძალისა და გარემომცველი ბუნებრივი გარემოს აღდგენისათვის წარმოადგენენ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანებს რეგიონის მდგრადი განვითარების კონცეპტუალური ასპექტების შემუშავებისა და რეალიზაციის დროს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის სიმდიდრე გადანაწილებულია რეგიონის ტერიტორიაზე მეტად არათანაბრად, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ობიექტურ რეგიონულ თავისებურებებთან, მაგრამ რეალური შეფასებები სიმდიდრის განაწილების რეგიონების მიხედვით, პრაქტიკულად არ არსებობს.

ტერიტორიის ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებაში ადამიანური და ბუნებრივი რესურსების როლის ხანგრძლივად არსებული შეუფასებლობის შენარჩუნების შემთხვევაში მსგავსი მიდგომა გამოიწვევს არაადეკვატურ მმართველობით გადაწყვეტას, აქცენტების არასწორ დასმას ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შერჩევისას. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების ეროვნული სისტემა, რათა შესაძლებლობა გვქონდეს განვსაზღვროთ მატების ტენდენციები და ამ სიმდიდრეების დანაკარგები.

გარდა შრომითი და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასების პრობლემისა, გადასაწყვეტია აგრეთვე ობიექტური ადგილობრივი დარეგიონული სტატისტიკის წარმოებისა და განვითარების საკითხი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მდგრადი განვითარების სტრატეგიების შემუშავებისათვის.

მდგრადი რეგიონული განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებას წარმოადგენს აგრეთვე სამუშაო ძალის ხასიათის ცვლილება ეკოლოგიური ფაქტორის გავლენით. სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ადამიანური კაპიტალი წარმოების ზრდის აქტიურ ფაქტორად გვევლინება. მომუშავის უნარის განვითარებისაგან, მისი შრომისუნარიანობის დონისაგან ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების საწარმოო-სამეურნეო მოღვაწეობის შედეგები და სახელდობრ, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პირველ რიგში აისახება ბუნებრივი გარემომცველი გარემოს დაბინძურება.

დიდი ყურადღება ეთმობა ლიტერატურაში მომუშავეთა პროფესიონალურ მომზადებას. მაგრამ არ უნდა დავეთანხმოთ გავრცელებულ აზრს, რომ სამუშაო ძალის ფიზიკური პარამეტრები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში. ჩვენის აზრით, არსებობს ერთიანობა ამ ორ ასპექტს შორის. მომუშავეთა ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესებას ახლავს გონებრივი, ფსიქიკური უნარის დეგრადაცია. შედეგად შეუძლებელი ხდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალური მომზადება და მომუშავეთა გადამზადება, მათი საწარმოო მოღვაწეობა. ახალი პროფესიების დაუფლებისათვის საჭიროა კარგი ჯანმრთელობა, რამდენადაც შრომის სიმძიმის ცენტრი გადაიტანება ადამიანის ნერვულ-ფსიქიკურ სისტემაზე. ჩვენის აზრით, კონკურენციის ზრდის პირობები ამჟამად, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ არა მარტო სამუშაო ძალის პროფესიონალურ მომზადებას, არამედ მის ფიზიკურ მდგომარეობასაც.

გარემოს დაცვის პრობლემების მნიშვნელობა უდიდესია არა მარტო კეთილსასურველი საწარმოო პირობების თვალსაზრისით, არამედ ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლის გადარჩენის მიხედვითაც. რეგიონში საარსებო გარემოს პირობების ცვლილება, თავის მხრივ იწვევს ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლების გაუარესებას. ცხოვრების დონის შემცირება ასევე უარყოფითად აისახება წარმოების პროცესებზე.

გათვლილია, რომ გლობალურად მთლიანი ავადობის ტვირთის 24%, ხოლო სიკვდილიანობის 23% განპირობებულია გარემოს საზიანო ზემოქმედებით. რაც შეეხება საქართველოს, იხილეთ ნახ. 2.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორების შერწყმა იწვევს ეკონომიკურ ზარალს, ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო პოტენციის შემცირებას, რაც თავის მხრივ აისახება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე. მაღალი ცხოვრების სტანდარტები და კარგი ჯანმრთელობა სოციალური ბალანსის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. როგორც უსაფრთხო გარემო, ასევე სათანადო ჯანდაცვა სოციალური პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტული ქმედებები უნდა უკავშირდებოდეს სიღარიბის აღმოფხვრასა და სოციალურ უთანასწორობას, განათლებას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, მდგრად ტურიზმს, ჯანსაღ გარემოს და ბუნებრივი რესურსების მართვას.

ნახ. 2. ქვეყნის ჯანმრთელობის პროფილი[2]

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., გრძელიშვილი ნ., გალახვარიძე ნ., ნადარეიშვილი ნ. რეგიონული ეკონომიკა. თბილისი, 2010.

2. საქართველოს რეგიონული განვითარება. დიაგნოსტიკური მოხსენება. თბილისი, 2009წ.

3. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017წწ.სახელმწიფო სტრატეგია. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილება.

4. საქართველოში გარემოს ჯანმრთელობის სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და შეფასება. სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. თბილისი 2011.

5. Бронштейн А.М., Литвин В.А., Русин И.И. Экологизация экономико: методы регионального управления. Москва. Наука. 1990.

6. www.apa.gov.ge

CONCEPTUAL ASPECTS OF THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE REGION

NAIRA GALAKHVARIDZE – Assist. Professor of the GTU
KETEVAN MUMLADZE – Doctorate of the GTU

Realization of the laws of the balance of the social- ecological - economical system of the regions should be done in the concept of the sustainable development of the regions. Development and implementation of the Sustainable Development Strategy of the regions has big importance in the contemporary conditions.

In the presented article are discussed conceptual aspects of the sustainable development of the social-ecological-economical system of the region. In particular, in this respect are discussed such issues as content of the sustainable development of the region, importance of the estimation of the potential of the human and nature resources of the regions and their influence on the economy and environment of the regions. Also it is discussed the importance of the promotion of the development of the sustainable tourism and agriculture in the region, collection and development of the objective local and regional statistics and also the importance of the influence of the environmental problems on the sustainable development of the social-economical system of the region.

[2] საქართველოში გარემოს ჯანმრთელობის სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და შეფასება